



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #27

სექტემბერი, 2013

გამოშვებაში
წაიკითხავთ

საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი დაინერგა

1 საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი

1



ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, ანტიკორუფციული საბჭოს, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისა და ამავე სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივით შემუშავდა საჯარო დაწესებულებებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი. აღნიშნული სერვისი მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, ასევე ამა თუ იმ საჯარო

2 ტრენინგები NATO-ს პროგრამის ფარგლებში

2

3 დამძობილების (TWINNING) პროექტი:

3

სემინარი ჟურნალისტებისთვის

4 იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში.

4

4 დამძობილების (TWINNING) პროექტი:

4

სასწავლო ვიზიტი დიდ ბრიტანეთში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე

5 საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - EDOCUMENT

5

ორგანიზაციაში ელექტრონულად გააგზავნოს ნებისმიერი სახის წერილი, მოთხოვნა და/ან საჩივარი და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მოქალაქის პორტალიდან MY.GOV.GE.

ელექტრონულად წარმოებულ კორექსონდენციაზე საჯარო ორგანიზაციიდან პასუხის მიღების შესახებ მოქალაქეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტით და მოკლე ტექსტური შეტყობინებით. საჯარო ორგანიზაციის პასუხის სრულად ნახვა კი მოქალაქეს შეეძლება მოქალაქის პორტალზე - „შესრულებული დავალებების“ სექციაში. მომხმარებელს აქვე ექნება საშუალება დაათვალიეროს მის მიერ სხვადასხვა დროს ამა თუ იმ საჯარო ორგანიზაციაში გაგზავნილი წერილები და მიღებული პასუხები.

მომსახურება ვრცელდება იმ საჯარო ორგანიზაციებზე, სადაც დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა (დღეისათვის 60-მდე საჯარო ორგანიზაცია). საქართველოს საჯარო სექტორში დღეს სამი ორგანიზაციის (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების) მიერ შექმნილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა მოქმედებს. სიტემებს შორის ელექტრონული სახით დოკუმენტების გაცვლას უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული სისტემების საინტეგრაციო ინფრასტრუქტურა. (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

MY.GOV.GE

სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



საქართველოს სოციალური
აღმშენებლის სააგენტო

www.sda.gov.ge



საქართველოს
ანტიკორუფციული
სააგენტო

www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საქართველოს
საქონლმფლობელთა
გაგება

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მოქალაქის პორტალზე.

„დღემდე საჯარო ორგანიზაციასთან კომუნიკაციისთვის მოქალაქეს წერილობით უნდა მიემართა შესაბამისი უწყებისთვის. ახალი მომსახურების მეშვეობით კი შესაძლებელი ხდება სხვადასხვა საჯარო უწყებებთან კომუნიკაცია დამყარდეს ელექტრონულად. ამისათვის მომხმარებელი უნდა შევიდეს მოქალაქის პორტალის საკუთარ გვერდზე. გვერდზე შესასვლელად შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც eID ბარათი, ისე სახელი და პაროლი, რომლის მიღებაც შესაძლებელია იუსტიციის სახლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომელიც ადმინისტრირებას უწევს მოქალაქის პორტალს MY.GOV.GE, არის მხოლოდ დამაკავშირებელი საშუალება შესაბამის სახელმწიფო უწყებასა და მომხმარებელს შორის და არ წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მფლობელს. შესაბამისად, ინფორმაციის სიზუსტესთან, მიღების ვადებთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით მომხმარებელი უნდა დაუკავშირდეს იმ საჯარო უწყებას, რომელსაც მიმართა.“ - **რუსუდან მიხელიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში მონტენეგროელი სპეციალისტებისთვის ტრენინგები ჩაატარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო წარმატებით იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე. სააგენტოს მიერ ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებულმა სამუშაოებმა და არაერთმა წარმატებით განხორციელებულმა პროექტმა სააგენტოს ექსპერტებს უკვე მოუტანა საერთაშორისო აღიარება.

სხვა საერთაშორისო პარტნიორებს შორის მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (NATO). ამ ორგანიზაციის პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში გამართულ ტრენინგებში მიწვეული ექსპერტებისა და ტრენინგების სტატუსით სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და

პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლები 2012 წლიდან მონაწილეობენ.

ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, კიბერ თავდაცვის მექანიზმები, ვებგვერდებისა და პორტალების უსაფრთხოება, ქსელის მონიტორინგი და დაცვა, კრიპტოგრაფია, კიბერ ინციდენტების აღმოჩენა, რეგისტრაცია, ანალიზი და პრევენციის ზომები - ეს ის საკითხებია, რომლებშიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებს შესაბამისი მაღალი კვალიფიკაცია გააჩნიათ და ცოდნასა და გამოცდილებას ნატოს პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს უზიარებენ.

სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის (METU) ინფორმატიკის ინსტიტუტში უკვე ჩაატარეს 2 ტრენინგი ავღანელი და მაკედონიელი სისტემური და ქსელის ადმინისტრატორებისთვის.

2013 წლის 16-19 სექტემბერს სააგენტოს წარმომადგენლები კვლავ მიიწვიეს ტრენინგების ჩასატარებლად.

ამჯერად სწავლება მონტენეგროს შესაბამისი პროფილის სპეციალისტებს ჩაუტარდათ, სასწავლო კურსის თემა კი ინფორმაციული უსაფრთხოების გარდა, უკვე კიბერ უსაფრთხოების საკითხებსაც მოიცავდა (გაგრძელება გვ.3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

„21-ე საუკუნეში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ეს გამოწვევა დგას პრაქტიკულად ნებისმიერი ქვეყნის წინაშე. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება. ჩვენს ორგანიზაციაში არსებული სტრუქტურა CERT.GOV.GE წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ და კიბერ უსაფრთხოებაზე მომუშავე მთავარ ორგანოს. შესაბამისად, ჩვენს პერსონალს აქვს ის კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და საერთაშორისო აღიარება, რომელიც საჭიროა თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პერმანენტული მონაწილეობა ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში განპირობებულია საქართველოს, როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში წარმატებული გამოცდილების მქონე ქვეყნის რეპუტაციით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდებზე: www.dea.gov.ge ; www.cert.gov.ge

დამმობილების (TWINNING) პროექტი: მონაცემთა გაცვლის სააგენტო ჟურნალისტებისთვის სემინარს გამართა



სემინარი თემაზე - „ელექტრონული მმართველობის გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით - ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება“ 18-20 სექტემბერს, ლოპოტას ტბის კომპლექსში გაიმართა.

სემინარის მსვლელობისას მოწვეული აუდიტორია - ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების ეტაპებს, არსებულ მდგომარეობას, შეხვდნენ ევროკავშირის მოწვეულ ექსპერტებს და მათგან მიიღეს ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონული მმართველობის საკითხების გაშუქების საუკეთესო გამოცდილების შესახებ.

წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის თემატური ინფორმაცია. სემინარის მსვლელობისას გაიმართა სახვადასხვა სახის ჯგუფური განხილვა დამსწრე აუდიტორიის მონაწილეობით.

სემინარის პირველ დღეს იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩართულები არიან ელ.მმართველობის განვითარების პროცესში, ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია მათ უწყებებში მიმდინარე პროექტების შესახებ. პრეზენტაციები გააკეთეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, იუსტიციის სახლის, ფინანსთა სამინისტროსა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა.

სემინარის საბოლოო მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით საქართველოში ელექტრონული მმართველობის საკითხებისადმი მას-მედიის წარმომადგენლებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, რათა შემდგომ უკეთ მოხდეს ამ თემების საზოგადოებისთვის გასაგები ფორმით გაშუქება.

იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში



იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბურჭულაძის ხელმძღვანელობით, კონფერენციას – "Oracle OpenWorld JavaOne – 2013" დაეწრო, რომელიც აშშ-ში გაიმართა.

სამინისტროს წარმომადგენლები თანამედროვე ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებს გაეცნენ. კონფერენცია ორგანიზებული იყო კორპორაცია "ორაკლის" მიერ, რომელიც მსოფლიოში პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია. ღონისძიებას კორპორაცია ყოველწლიურად მართავს და საკუთარ ნოვაციებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო კომპანიებს აცნობს.

ქართულ დელეგაციას, კონფერენციის სხვა მონაწილეებთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდა, მუშაობის პროცესში გამოეცადა თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეები და გაეცნო მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. იუსტიციის სამინისტროს

წარმომადგენლები იმ პროგრამებით დაინტერესდნენ, რომლებიც მონაცემთა ბაზების, ბიზნესოპერაციებისა და სხვა დანიშნულებისათვის შემუშავდა და რომელთა გამოყენებაც წარმატებით შეიძლება სხვადასხვა სამთავრობო უწყებაში.

ორგანიზატორებმა იუსტიციის სამინისტროს დელეგაციისათვის სპეციალური ტური დაგეგმა, რომლის ფარგლებშიც კონფერენციის ქართველ მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მონახულებინათ "ორაკლის", "გუგლისა" და "ფელის" სათავო ოფისები, აგრეთვე, სტენფორდის უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრი და გაცნობოდნენ მათი მუშაობის სპეციფიკას.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი გვენეტაძე**.

დამმობილების (TWINNING) პროექტი: სასწავლო ვიზიტი დიდ ბრიტანეთში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე



ევროკავშირის დამმობილების (TWINNING) პროექტის - " ელ-მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში 2013 წლის 23-27 სექტემბერს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში.

ვიზიტი მიზნად ისახავდა CERT.GOV.GE-ს კომპეტენციის ამაღლებას და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების შესაძლებლობების გაზრდას საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროპის წამყვანი CERT (CSIRT) - CERT-ების ჯგუფებთან, როგორცაა ესტონეთის, ავსტრიის, შვეიცარიის CERT-ები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (TERENA, TI).

ლონდონში ვიზიტის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში - 40th TF-CSIRT Meeting.


კონფერენციაზე განხილულ იქნა კომპიუტერული ინციდენტების სფეროში არსებული უახლესი გამოწვევები და მიღწეული შედეგები. აღნიშნულ თემაზე პრეზენტაციები გააკეთეს ისეთი მასშტაბის საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებმა, როგორებიცაა Team Cymru და Trusted Introducer. სხვა მომხსენებლებად ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების CERT-ების წარმომადგენლები (გაგრძელება გვ. 5)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4)

შეხვედრებზე განხილულ იქნა CERT-ებს შორის მონაცემების უსაფრთხოდ და ეფექტურად გაცვლის საკითხები, პროფესიული განვითარების საშუალებები - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული აქტუალური ტრენინგები, Single Sign On-ის საკითხები, ქსელის უსაფრთხოების მონიტორინგის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ CERT.GOV.GE პირველად მონაწილეობდა მსგავსი ტიპის კონფერენციაში TI-ს სრულუფლებიანი, აკრედიტებული წევრის სტატუსით, რამაც მისი ჯგუფის წარმომადგენლებს დახურულ შეხვედრებზე დასწრებისა და TI-ს კომიტეტის წევრების არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მისცა.

ფინანსთა სამინისტროში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის - EDOCUMENT ახალი ვერსია დაინერგა



19 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის - eDocument-ის ახალი ვერსია დაინერგა. სისტემით ისარგებლებს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სახელმწიფო ხაზინის, შემოსავლების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ოთხი ათასამდე მომხმარებელი.

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის - eDocument-ის მიზანია, დოკუმენტბრუნვის პროცესების მაქსიმალური გამარტივება და ხელმისაწვდომობა. ის უზრუნველყოფს საოფისე დოკუმენტაციის ეფექტურ ელექტრონულ მართვას, საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას. სისტემის საშუალებით მარტივად ხორციელდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა

ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი.

ახლო მომავალში დაგეგმილია სისტემის განახლება კიდევ 22 სახელმწიფო ორგანიზაციაში.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საპარამეტრული იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.